

კითხვის ეფექტური სტრატეგიები სმენის სირთულეების მქონე
მოსწავლეების სწავლებისას

თეა ბოკუჩავა
მარიამ მათეშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა - სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა დოლიძე, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეა ბოკუჩავა

მარიამ მათეშვილი

აბსტრაქტი

კვლევა ეხება კითხვის ეფექტური სტრატეგიების გამოყენებას სმენის სირთულეების მქონე მოსწავლეების სწავლებისას. მასწავლებლები და მოსწავლეები ხშირად დგანან კითხვასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე. ძირითად სირთულეს წარმოადგენს ტექსტის გაგება-გააზრება. აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად სამეცნიერო ლიტერატურა გვთავაზობს კითხვის სხვადასხვა ეფექტურ სტრატეგიას, რომლებიც სასწავლო პროცესს ხდის მრავალფეროვანს, საინტერესოსა და შემოქმედებითს, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობასა და გაგება-გააზრების უნარის განვითარებას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მასწავლებლების მიერ გამოყენებული კითხვის სტრატეგიების განსაზღვრა, არსებული სირთულეების გამოვლენა, სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული კითხვის ეფექტური სტრატეგიების შერჩევა, გამოყენება და შეფასება.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მე-3 კლასის სმენის სირთულეების მქონე მოსწავლეებმა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა. გამოყენებულ იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუ საგნის მასწავლებლებთან, დაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე, პრე-პესტები და პოსტ-ტესტები. კვლევის შემდეგ მოხდა ინტერვენციის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მასწავლებლები ძირითადად ორიენტირებულნი არიან ისეთი სტრატეგიების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს ფაქტობრივი ცოდნის მიღება-შემოწმებას. ხოლო ინტერვენციამ ცხადყო, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული კითხვის ეფექტური სტრატეგიები დადებითად აისახება საგაკვეთილო პროცესზე, მოსწავლეები მეტად აქტიურები და ჩართულები არიან, ხოლო მასწავლებლები იყენებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც მიმართულია გაგება-გააზრების უნარის განვითარებაზე.

Abstract

This research concerns the use of effective reading strategies when teaching students with hearing difficulties. Students and teachers are often challenged by problems associated with reading. Main difficulty is reading comprehension. To overcome this, scientific literature suggests various reading strategies, which make studying process exciting, interesting and creative, ensure student involvement and comprehension development.

Goal of the research was to define reading strategies used by teachers, expose problems and challenges, to select, use and evaluate effective reading strategies from scientific literature.

Participants in this research were 3rd grade students with hearing difficulties and teachers of Georgian speech and literature. Throughout interviews with teachers, observation of teaching process, pre-tests and post-tests took place. After the research the intervention was planned, realized and evaluated.

Research has shown us that teachers are mainly oriented on strategies that ensure gaining and testing of actual knowledge. Intervention revealed that effective strategies in scientific literature apply positively on teaching process: students are more active and involved, whereas teachers use activities that are focused at comprehension development.

მადლობა

ხათუნა დოლიძეს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, რომლის რჩევები და რეკომენდაციები დაგვეხმარა კვლევის თითოეულ ეტაპზე.

მაია წულაძეს, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელს, რომელიც აქტიურად გვიზიარებდა საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, გვაწვდიდა უკუკავშირსა და მნიშვნელოვან რჩევებს.

სსიპ ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლის დირექტორს, ნინო მეტრეველს, რომელმაც ნება დაგვრთო ჩაგვეტარებინა კვლევა აღნიშნულ სკოლაში.

სსიპ ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლის მე-3 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს კვლევაში მონაწილეობის მიღებისა და თანამშრომლობისათვის.

სსიპ ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.